27 სექტემბერს მოწვეულია საქართველოს კპ XXI ყრილობა

რით ეგებებით თქვენ!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 218 (12132)
შაბათი,
23
სექტემბერი,
1961 წ.
გამოცემის 42-ე წელი
ფასი 2 კაპ.

ᲣᲙᲐᲢᲐᲙᲔᲑᲔᲜ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ!

(საკ. კორ.). ცემენტის ქარხნის კოლექტივმა, რომელიც წინასაყრილობო შრომითს ვახტზე დგას, ათი დღით ადრე შეასრულა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება.

წლის დასაწყისიდან გეგმის ზევით გამოშვებულია 18 ათას 500 ტონა ცემენტი და 21.500 კვადრატული მეტრი ფიბროლიტის ფილები.

გუშინ რუსთაველმა მეცემენტეებმა თავიანთი წარმატებების შესახებ დეპეშა გაუგზავნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს.



ᲨᲔᲜᲗᲕᲘᲡ, ᲩᲔᲛᲝ ᲡᲐᲛᲨᲝᲒᲚᲝᲕ!

„საქკაბელის“ ზესტაფონის ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივი ახალ საჩუქრებს უმზადებს პარტიის XXII ყრილობას. ქარხანამ 8 თვის სახელმწიფო გეგმა 133,1 პროცენტით შეასრულა, ხოლო 5 სექტემბრისათვის 10 თვის გეგმა გაანაღდა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 180 ათასი მანეთის კაბელის ნაწარმი. 8 თვეში შრომის ნაყოფიერება 32,8 პროცენტით გაიზარდა, რის გამო მნიშვნელოვნად შემცირდა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს სასახელოდ ანაღდებს ძირითადი საამქროს № 1 ცვლა, რომელსაც ოსტატი ზ. კახნიაშვილი ხელმძღვანელობს. გასული თვის საუკეთესო მაჩვენებლების მიხედვით ამ ცვლას გადაეცა შიდასაქარხნო გარდამავალი წითელი დროშა.

ქარხნის კოლექტივმა ვადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს შვიდწლედის მესამე წლის სახელმწიფო დავალება.

ი. კირვალიძე,
„საქკაბელის“ ზესტაფონის ქარხნის პარტბიუროს მდივანი.

ᲡᲐᲓᲒᲣᲠ ქუთაისი მეორის კოლექტივი ერთი პირველთაგანი ჩაება სკკპ XXII და საქართველოს კომპარტიის XXI ყრილობების აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

აგვისტოში აქ დატვირთვის დავალება 134,6 პროცენტით შეასრულეს, ხოლო გადმოტვირთვისა — 105,6 პროცენტით. მნიშვნელოვნად შეამცირეს ვაგონების მოცდენის ნორმა.

ახლახან ქუთაისელმა რკინიგზელებმა სასიხარულო ცნობა მიიღეს: სადგურ ქუთაისი მეორის კოლექტივმა ამიერკავკასიის რკინიგზის საწარმოთა შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დამსახურებულად მეოთხეჯერ მოიპოვა პირველი ადგილი.

ი. ბუხაიძე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჩაის ტრესტის სამტრედიის მექანიკური ქარხნის რაციონალიზატორებმა მიმდინარე წელს ბევრი სასარგებლო წინადადება შემოიტანეს და დანერგეს საწარმოში, რითაც ქარხანას წლიურად 6.440 მანეთი დაუზოგეს.

საგრძნობ ეკონომიას აძლევს საწარმოს ზეინკალ ო. შუბლაძის, მექანიკური საამქროს ოსტატის ა. დოლიძის, მემოდელე გ. თევზაძისა და ქარხნის მთავარი ინჟინრის ა. კილაძის მიერ შემოტანილი წინადადებანი, რომლებიც წარმატებით დაინერგა ქარხანაში.

დ. გოგიტიძე.

ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲘᲡ ადგილობრივი მეურნეობის კომბინატმა ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია. წლის დასაწყისიდან გეგმით გათვალისწინებული 132 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად გამოუშვა 137 ათასი მანეთის საქონელი. ავეჯის გამოშვების 8 თვის გეგმა შესრულებულია 119,5 პროცენტით, სასკოლო ინვენტარისა — 181,3 პროცენტით, კირისა — 106,7 პროცენტით და ა. შ.

ახლა კომბინატის კოლექტივი ენერგიულად შრომობს, რათა სკკპ XXII ყრილობის გახსნის დღისათვის შეასრულოს ათი თვის საწარმოო გეგმა.

გ. გოგოლიძე.

სტრიქონები წერილებიდან

□ **დუშეთის** რაიონის სოფელ ხორხის კირიგის სახელობის კოლმეურნეობას წელს მეტად გაუჭირდა პირუტყვისათვის საკვების დამზადება. კოლმეურნეებმა გამოსავალი მონახეს. მთებს შეუტიეს.

„ურძნიანას“ მთა საუკუნეების მანძილზე მიუწვდომელი იყო. რძიანი ბალახით უხვი „ურძნიანას“ დაპყრობა გადაწყვიტეს კოლმეურნეებმა და მისასვლელი გზა გაიყვანეს, ასეულ ჰექტრებზე გათიბეს ბალახი, 1.000 ცენტნერი თივა დაამზადეს, მეცხოველეობის ფერმებთან ჩამოზიდეს.

„ურძნიანა“ ხალხის სამსახურში ჩადგა.

ვ. ხუცურაული,
სოფლკორი.

□ **ლაგოდეხის** რაიონის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა ფ. კობერიძემ კომპლექსური მექანიზაციით დამუშავა 120 ჰექტარი სიმინდის ნათესი.

სიმინდის აღება დაიწყო. 60 ჰექტარზე აღებულმა მოსავალმა საშუალოდ ჰექტარზე 70 ცენტნერს მიაღწია.

რ. ბაბრიხიძე.

ᲨᲔᲔᲕᲘᲧᲕᲐᲠᲔ ᲡᲬᲐᲕᲚᲐ, ᲨᲠᲝᲛᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ სამშობლოს სიყვარული, კომუნისტური სიყვარული ამხნევებდა დიდ სამამულო ომში თვითეულ საბჭოთა მეომარს. და ამ ძალამ მტერზე გამარჯვება მოგვიტანა. მე სულ პატარა ვიყავი მაშინ, როცა სამშობლოს თავისუფლებას გმირულად შესწირა თავი მამაჩემმა გრიგოლ სხულუხიამ, რომელსაც სიკვდილის შემდეგ მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

გავიდა საკმაო ხანი. ჩვენი ოჯახი შრომამ გამართა წელში. მეც წამოვიზარდე და დადგეწყვიტე სირცხვილი არ მეკმა გმირი მამისათვის. სწავლა და შრომა შევიყვარე. 1960 წელს საშუალო სკოლა დავამთავრე და მშობლიური სოფლის კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა. მალე დავეუფლე ჩაის პლანტაციის მოვლა-დამუშავებას, გავიწაფე ჩაის კრეფაში და წარმატებაც მოვიპოვე.

წელს ვუვლი ნახევარ ჰექტარ პლანტაციას. წლიური გეგმით უნდა მომეკრიფა 2.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ეს დავალება ჯერ კიდევ 18 ივნისისათვის შევასრულე. 10 სექტემბრისათვის მოკრეფილი მქონდა 4.500 კილოგრამი ჩაის ნედლეული. მაგრამ ესეც არ არის ზღვარი. პარტიის XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისთვის სეზონის ბოლომდე კიდევ მოვკრეფ 1.500 კილოგრამს.

ვ. სხულუხია,
ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის გ. სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

ᲒᲐᲕᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲗ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲕᲔᲚᲐᲓ

ნ. ს. ხრუშჩოვის მისალმება გერმანიის საერთაშორისო პროფკავშირული კონფერენციისადმი

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წერილით მიმართა გერმანიის სახავო ხელშეკრულების დადებისათვის, დასავლეთ ბერლინის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის, ომის პროვოკაციების წინააღმდეგ მოწვეული საერთაშორისო პროფკავშირული კონფერენციის მონაწილეებს, რომლის მუშაობა ბერლინში მიმდინარეობს. საბჭოთა მთავრობისა და პირადად თავისი სახელით იგი მხურვალე სალამს უთვლის კონფერენციას და წარმატებებს უსურვებს მუშაობაში.

აღნიშნავს რა კონფერენციის განსახილველად წამოყენებულ საკითხთა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას, ნ. ს. ხრუშჩოვი წერს, რომ სახავო ხელშეკრულების დადების შესახებ ჩვენი წინადადების პასუხად დასავლეთის სახელმწიფოები ომით გვემუქრებიან, რაც თანამედროვე პირობებში გარდუვალად ნიშნავდა მსოფლიო თერმოატომურ კატასტროფას.

საბჭოთა მთავრობის მეთაური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი ომის თავიდან აცილების საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი ამოცანის გადაჭრაში დიდი წვლილი უნდა შეიტანონ საერთაშორისო მუშათა კლასმა და მისმა პროფესიულმა კავშირებმა. მშვიდობის შენარჩუნებისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მუშათა კლასს, რომლის მოვალეობაა სათავეში ჩაუდგეს ბრძოლას გერმანიის მილიტარიზმისა და რევანშიზმის წინააღმდეგ.

ნ. ს. ხრუშჩოვი რწმენას გამოთქვამს, რომ კონფერენცია, რომელიც მოწვეულია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ინიციატივით, უეჭველად დიდ როლს შეასრულებს ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა და პროფკავშირების დარაზმვის საქმეში გერმანიის სახავო ხელშეკრულების დადებისათვის, დასავლეთ ბერლინის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის, იმპერიალისტთა სამხედრო პროფკავშირების წინააღმდეგ, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის აქტიურად საბრძოლველად. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲤᲮᲔᲜᲘᲐᲜᲘᲓᲐᲜ ᲥᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

22 სექტემბერს მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ფ. რ. კოზლოვის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობდა კორეის შრომის პარტიის IV ყრილობის მუშაობაში.

ᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ

ᲚᲐᲚᲐᲓ გაუშლია მხრები ოქროს შემოდგომას სამგორის მადლიან მიწებზე.

ხედავთ სიმინდის ხვავებს, თვალს რომ იტაცებს და გულს ახარებს! — ეს ნორიოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მხვნელ-მთესველთა მარჯვენის ბარაქა, მათი შრომისა და ოფლის ნაყოფია.

აქაურმა მესიმინდეებმა თქვეს, რომ შვიდწლედის მესამე წელს დიდ მოსავალს მოიყვანდნენ და აჰა, მიიღე სამშობლოვ, შეიტკბე ნაამგარი.

— ვინ დასთვლის ჩვენთან მოწინავე მესიმინდეებს, — ამბობს მეურნეობის დირექტორი, საქართველოს კპ XXI ყრილობის დელეგატი ე. დანელია, — მაგრამ მჯობნის მჯობნსაც რა გამოლევს, ბრიგადამ, რომელსაც ზ. ჭრიკიშვილი ხელმძღვანელობს, მთელი ნათესი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. აქ უკვე აიღეს მოსავალი 20 ჰექტარზე. გამოცდილი მესიმინდეები ზ. ნიკოლაიშვილი, რ. ჯავახიშვილი და სხვები სიმინდის გორებს დგამენ.

ახლა აქ ადამიანები ერთი მისწრაფებით არიან გამსჭვალული — სამშობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი მარცვლეული, მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, მშობლიური პარტიის მომავალ ყრილობას სასახელო წარმატებებით შეხვდნენ.

სურათზე: სამგორის რაიონის ნორიოს მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, საქართველოს კპ XXI ყრილობის დელეგატი ე. დანელია (მარჯვნივ) და მოწინავე მესიმინდე ა. ქარუმიძე ათვალიერებენ სიმინდის ხვავს.

ფოტო მ. კვირიკაშვილისა.

Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲘ ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘᲡᲨᲘ ᲩᲐᲤᲘᲓᲐ

ᲰᲔᲚᲡᲘᲜᲙᲘ, 22 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის უ. კეკონენის მოწვევით ჰელსინკში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იუწყება, რომ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა

გაიხსნება 1961 წლის 27 სექტემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (საქართველოს სსრ მთავრობის სახლი).

დელეგატების რეგისტრაცია წარმოებს 1961 წლის 24 სექტემბრიდან ყოველდღიურად დილის 9 საათიდან 20 საათამდე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში (შიო ჩიტაძის ქუჩა № 2).

ტელეფონები: 3-62-20, 3-90-24, 2-02-30, 2-03-90.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

1961 ᲬᲔᲚᲡ პირობითად ვაჟა-ფშაველას წელიწადი შეიძლება ეწოდოს... აგერ სულ ახლახან, ივლისში, ქართველმა ხალხმა დიდი ზეიმით აღნიშნა თავისი სიამაყის, პოეზიის არწივის ვაჟას დაბადების მეასე წლისთავი. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით მრავალ ქვეყანაში გაიმართა ვაჟასადმი მიძღვნილი საღამოები.

გუშინ, 22 სექტემბერს, მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში ამაყად გაისმა ვაჟა-ფშაველას სახელი.

დიდი საზეიმო საღამო, რომელსაც ათასობით მოსკოველი და მრავალი უცხოელი სტუმარი ესწრებოდა, შესავალი სიტყვით გახსნა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, გაჭრიანელმა რუსმა პოეტმა ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲒᲘᲠᲜᲝᲕᲘᲩᲘ.

მან თქვა, საქართველოს სახალხო პოეტის ვაჟა ფშაველას დაბადების მეასე წლისთავის დღე ჩვენი საერთო დიდი დღესასწაულია.

ახლა, როცა ვაჟა-ფშაველა გასცდა ჩვენი სამშობლოს საზღვარს, მას მსოფლიო აღიარება ელის. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ცნობილი იქნება ყველა კონტინენტზე. იგი უეჭველია მსოფლიო მნიშვნელობის პოეტია. მან მსოფლიოში მოიტანა ახალი სიტყვა, მან გადაგვიშალა ახალი, ღრმა გრძნობების სამყარო, განსაკუთრებული, განუმეორებელი სამყარო.

საღამოზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის პირველმა მდივანმა, პოეტმა-აკადემიკოსმა ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ. მან ილაპარაკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების დიდ საკაცობრიო მნიშვნელობაზე. თავისი გმირული ჰუმანიზმით, აღნიშნა ირაკლი აბაშიძე, ვაჟა-ფშაველა მსოფლიოს ყველა ქვეყნისა და ყველა ხალხის ფიქრების გამომხატველი პოეტია. იგი არა მარტო უმდერიდა თავისუფლებასა და ბედნიერებას, არამედ იბრძოდა კიდეც საკაცობრიო სიკეთისათვის. ამიტომაც არის დღეს ვაჟა მსოფლიოს ყველა ხალხისათვის გასაგები და მახლობელი.

რუსი პოეტი ქალი ᲕᲔᲠᲐ ᲖᲕᲘᲐᲒᲘᲜᲪᲔᲕᲐ, რომელსაც ვაჟას არა ერთი ლექსი აქვს თარგმნილი, საზეიმო საღამოზე კითხულობს ქართველი პოეტის ერთ-ერთი სიმღერის ახალ თარგმანს.

ვაჟას შვილი ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲠᲐᲖᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ლექსით მიესალმება თავისი დიდ მამის ნათელ ხსოვნას.

„ხარს ვგავარ
ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვნიველ,
ვბუტუნებ:
ღმერთო სამშობლო
მიცოცხლე,
მძინარეც ამას
ვდუდუნებ“.

ეს ლექსი საღამოზე მოსკოვის ფილარმონიის მსახიობმა ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲢᲝᲩᲐᲠᲝᲕᲘᲩᲛᲐ წაიკითხა. ვაჟასადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს აზერბაიჯანელმა პოეტმა ბ. რუსტამოვმა და მ. ᲥᲐᲚᲗᲘᲜᲘᲫᲔ.

შემდეგ დიდი საზეიმო კონცერტი გაიმართა. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქართული ხელოვნების ოსტატებმა — ა. ამირანაშვილმა, დ. გამრეკელმა, ზ. კიკალეიშვილმა, ლ. მითაიშვილმა, თ. ამირეჯიბმა, ო. კუზნეცოვამ, ც. ციცქიშვილმა, ნ. კირვალიძემ, ლ. ისაკაძემ და სხვ.

მდიდის, მსოფლიო გზაზე მიაბიჯებს ვაჟა, ჩვენი ეროვნული სიამაყე, რომელმაც მსოფლიოში მრავალთა გულამდე მიიტანა ქართული აზრის სიმაღლე და ქართული სიტყვის სიმშვენიერე.

მოსკოში გამართული საზეიმო საღამო ამ საყოველთაო სახალხო აღიარებისა და სიყვარულის კიდევ ერთი დასტური იყო.

ᲐᲛᲑᲔᲑᲘ, ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ

სპაასკმა ნატოს საბჭოს გააცნო საუბრები ნ. ს. ხრუშჩოვთან

პარიზი, 22 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პოლ-ანრი სპაასმა ნატოს საბჭოს გააცნო საუბრები, რომლებიც მას მოსკოვში ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვთან. როგორც ფრანს პრესის საგაგენტო იუწყება, ნატოს წარმომადგენელმა განაცხადა ამის შესახებ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის საბჭოს სხდომის დამთავრების შემდეგ.

დ. რასკმა საუზმე გამართა ა. ა. გრომიკოს პატივსაცემად

ნიუ-იორკი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა საუზმე გამართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს პატივსაცემად.

საუზმის შემდეგ დ. რასკსა და ა. ა. გრომიკოს შორის გაიმართა საუბარი იმ საკითხებზე, რომლებიც ორივე მხარეს აინტერესებს.

კუბის პრეზიდენტი პეკინს ჩავიდა

პეკინი, 22 სექტემბერი. (საკდესი). დღეს პეკინს ჩამოვიდა კუბის პრეზიდენტი ოსვალდო დორტიკოს ტორადო.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ „ᲕᲔᲡᲢ ᲤᲝᲠᲓᲘᲡ“ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მ. ვ. კელდიშის წერილი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მ. ვ. კელდიშმა წერილი გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ბ-ნ ბრონკს ახალი ტიპის რადიოკავშირის შექმნის შესახებ ამერიკელ მეცნიერთა წინადადების გამო.

მ. ვ. კელდიშის წერილში ნათქვამია:

საბჭოთა მეცნიერები უურადღებით გაეცნენ „ვესტ ფორდის“ პროექტს, რომელიც წამოყენებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში ახალი ტიპის რადიოკავშირის შესაქმნელად.

ამ პროექტით გათვალისწინებულია 3-4 ათას კილომეტრ სიმაღლეზე დედამიწის ხელოვნური თანამგზავრიდან „მიდასიდან“ გადმოყარონ რამდენიმე ასეული მილიონი ვერცხლი ლითონის ნემსი, რომლებიც დედამიწის გარშემო წარმოქმნიან სარტყელს, რომლის არსებობის ხანგრძლივობა რამდენიმე წელიწადი იქნებოდა. გათვალისწინებულია ეს სარტყელი გამოიყენონ შემდგომი რადიოკავშირის განსახორციელებლად.

საბჭოთა მეცნიერების — რადიოფიზიკოსების, ასტრონომების თვალსაზრისით, „ვესტ ფორდის“ პროექტს შეიძლება მოჰყვეს სახიფათო შედეგები. ჩვენი მეცნიერები ეთანხმებიან საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის იმ აზრს, რომ გადმოყრილმა ნემსებმა შეიძლება სერიოზულად დაიბრკოლონ ასტრონომიული და რადიოასტრონომიული დაკვირვებანი უახლოეს მომავალში დაკვირვების ტექნიკის პროგრესთან დაკავშირებით. ასეთი სარტყლის ხანგრძლივი არსებობა აგრეთვე დიდ საფრთხეს წარმოადგენს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრებისათვის, თუ კი ისინი ნემსებს შეეჯახებიან. განსაკუთრებით სახიფათოა ასეთი შეჯახებანი ᲛᲣᲓᲐᲛᲘᲬᲘᲡ ხელოვნური თანამგზავრებისათვის, რომლებშიც ადამიანი იქნება. ეს საფრთხე განსაკუთრებით იმით ღრმავდება, რომ ასეთ სიმაღლეზე გადმოყრილი ნემსები შეიძლება დიდხანს დარჩეს დედამიწის მიდამოებში.

დასასრულ, საბჭოთა მეცნიერების აზრით, ასეთი ექსპერიმენტის განხორციელება შეიძლება პრეცედენტი გახდეს ამგვარი უფრო ფართო ექსპერიმენტების საწარმოებლად, რაც გამოიწვევს დედამიწის მახლობელი სივრცის სეროიზულ დანაგვიანებას და წარმოქმნის დიდ სიძნელეს როგორც ისეთი თანამგზავრების გაფრენის განხორციელების თვალსაზრისით, რომლებშიც ადამიანი იქნება, ისევე ასტრონომიული დაკვირვების წარმოების თვისებაც.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ გაითვალისწინა ზემოთ ჩამოყალიბებული მოსაზრებანი და წინააღმდეგია განხორციელდეს „ვესტ ფორდის“ პროექტი, იმედოვნებს, რომ თქვენ მხარს დაგვიჭერთ ამ მხრივ.

Მ. Ვ. ᲚᲝᲛᲝᲜᲝᲡᲝᲕᲘᲡ ᲗᲘᲡᲖᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲠᲗᲘᲚᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 20 სექტემბერი. (საკდესი). მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა მ. ვ. ლომონოსოვის თხზულებათა ერთტომეული. ერთტომეულში შეტანილია გენიალური მეცნიერისა და მოაზროვნის პოეზიისა და ორიგინალური პროზის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებიც საინტერესოა ფართო მკითხველისათვის.

წიგნი იწყება ლექსების ციკლით „საუბარი ანაკრეონთან“, რომელიც გამოხატავს ლომონოსოვის პოეტურ და საზოგადოებრივ პროგრამას.

ტომში დაბეჭდილია აგრეთვე ტრაგედია „ტამირა და სელიმი“, სამგორო პოემა „პეტრე დიდი“ და სხვ.

160–165 ᲥᲣᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲗᲕᲘᲡ!

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

კომუნისტები საუბროობენ ხვალინდელ დღეზე

ჯინოთეატრის ფართო დარბაზი ძლივს იტევდა დელეგატებს. აქ იყვნენ შრომის მოწინავენი, პარტიული აქტივისტები... მათთან ერთად იყვნენ ჩაის უხვი მოსავლის ოსტატები, სოციალისტური შრომის გმირები ტ. ჩხაიძე, დ. ტაკიძე, ზ. ბაჯელიძე, ზ. ცხომელიძე და სხვები, რომლებმაც რაიონულ პარტიულ კონფერენციას უპატაკეს წლიური დავალების სასახელოდ განაღდება.

— ამ შესანიშნავ მოწვევებში, რომლებიც მიმდინარე წელს მოიპოვა საბჭოთა ხალხმა, საქართველოს შრომელებთან ერთად თავისი წვლილი შეიტანეს მახარაძის რაიონის შრომელებმაც. — ამბობს მომხსენებელი, პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ვ. თოხაძე.

ამ დღეებში, დიდი შემოქმედების შრომის დღეებში, რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები უფრო ღრმად სწვდებიან იდეოლოგიური მუშაობის შინაარსს, პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში იყენებენ ახალ ფორმებსა და მეთოდებს. საკმაო პროგრამისა და წესდების პროექტების ღრმად შესწავლის უზრუნველსაყოფად რაიონში შექმნილია 49 აგიტპუნქტი. აგიტპუნქტები შრომელთა საყვარელ ადგილად გადაიქცა. ისინი აქ იძენენ ცოდნას, ღრმად ერკვევიან ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებში.

პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა კარგად არის მოწყობილი სოფელ ბახვის კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი რ. მგელაძე). კოლმეურნეობაში მომუშავე ყველა კომუნისტი გონივრულად არის განაწილებული გადამწყვეტ უბნებზე. ამიტომაც აქ მეურნეობის ყველა დარგში სერიოზული წარმატებები აქვთ. მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლევიან ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კომუნისტები. ისინი უნარიანად ხელმძღვანელობენ მეურნეობის ცალკეულ უბნებს, სათავეში უდგანან მუშათა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას. საბჭოთა მეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ნატანების, ძიმითის, ნაგომრის, ასკანის, ჯუმათის, მელექედურის, სოფელ მახარაძის კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციები.

მართალია, ჩაის კრეფის გეგმა შესრულებულია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მახარაძის რაიონმა ვალდებულება იკისრა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 2.420 ტონა ჩაის ფოთოლი. ამჟამად კი მოკრეფილია მხოლოდ 35 ტონა.

ახლა, როცა ჩაის კრეფის სეზონი მიიწურა, მახარაძელ მეჩაიეებს ასეთი ტემპით მუშაობის პირობებში გაუძნელდებათ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

— წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, — აღნიშნავდნენ დელეგატები, — ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაცია მოწოდების დონეზე რომ იდგეს. სოფელ ზანავეთის კოლმეურნეობის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ა. ლომჯარია) შეისესტა მუშაობა, ამან კი თავის მხრივ უარყოფითად იმოქმედა შრომის ორგანიზაციაზე, დისციპლინაზე. კოლმეურნეობა სამარცხვინოდ ჩამორჩა ჩაის წარმოებაში. უკეთესი მდგომარეობა არც ბაღმა დვაბზუს კოლმეურნეობაშია.

კონფერენციაზე აღინიშნა სოფელ სილაურის კოლმეურნეობის გამგეობის (თავმჯდომარე მ. სარიშვილი) და პირველადი პარტორგანიზაციის (მდივანი ჟ. გოგუაძე) ცუდი მუშაობა. მათ ვერ გამოიყენეს ადგილობრივი რეზერვები, ხელიდან გაუშვეს ჩაის ფოთლის კრეფის საუკეთესო ვადები და 76 ტონით შეამცირეს მოსავალი გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს აგრეთვე ლაშეს, მთისპირის, მაკვანეთის კოლმეურნეობების გამგეობები და პირველადი პარტორგანიზაციები, რომლებიც მთელი მონდომებით არ მოეკიდნენ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლას.

წელს მახარაძელი მეციტრუსეები საშობლოს მისცემენ სულ ცოტა 4.050 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს. ამ ვალდებულების შესრულებისათვის უკვე შექმნილია კარგი პირობები. სანიმუშოდ მოყვანილ ბაღებში მოსავალს კარგი პირი უჩანს.

მნიშვნელოვნად განვითარდა საზოგადოებრივი მეცხოველეობა, შესრულებულია პირუტყვის სულადობის წლიური დაგალება, რაიონში თვითეულ ძროხაზე საშუალოდ მიღებულია 1.341 კილოგრამი რძე. სოფელ ბახვის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში თვითეულ ძროხაზე საშუალოდ 2.278 ლიტრი რძე მიიღეს. კარგი შედეგები აქვთ ქვედა ბახვის, შრომის, ძიმითის, სოფელ მახარაძის, გურიანთის, ბაღდადის კოლმეურნეობებს. მაგრამ ასე როდი ითქმის მთისპირის, მაკვანეთის, ვაკიჯრის, ზვანის კოლმეურნეობებზე. აქ შემცირდა მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა დელეგატებმა აღნიშნეს, რომ რაიონის სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების მიმდინარე წლის 8 თვის გეგმა 106 პროცენტით შეასრულეს, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 803 ათასი მანეთით მეტი პროდუქცია გამოუშვეს. ამ მხრივ აღსანიშნავია მახარაძის № 1, ბაღილეთის, ლაითურის, გურიანთის, ნასაკირალისა და ნატანების ჩაის ფაბრიკების კოლექტივების ნაყოფიერი მუშაობა.

ყოველი დელეგატის გამოსვლაში იგრძნობოდა ერთი მთავარი აზრი — ის, რაც აქამდე გაკეთდა, სრულიადაც არ არის საკმარისი. სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის“ სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიემ ვ. სიხარულიძემ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარებასაც კომუნისტები ფიქრობენ კოლმეურნეობის სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის.

სიტყვას ამბობს სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებული მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ჩხაიძე:

— ნახევარ ჰექტარ ფართობზე უკვე მოვკრიფე 12.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, ვალდებულება გავანადგე, ხოლო დამატებით კიდევ მოვკრეფ 500 კილოგრამ ფოთოლს. აი ჩემი საჩუქარი პარტიის XXII ყრილობას!

ასეთი პატრიოტული სიტყვები მრავლად ისმოდა კონფერენციის ტრიბუნიდან.

კონფერენციაზე ითქვა იმ ნაკლოვანებათა შესახებაც, რაც ხელს უშლის რაიონის მშრომელებს უფრო მეტი წარმატებები მოიპოვონ მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის, მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების ნაკლოვანებებზე გამახვილეს ყურადღება დელეგატებმა გ. საბაშვილმა, გ. წითლიძემ, ვ. დუმბაძემ, გ. ვაშლრმიძემ და სხვებმა.

მომავალი ადამიანის აღზრდის საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები დელეგატებმა რ. დონაძემ, ვ. ჩხიკვიშვილმა და სხვებმა. კონფერენციის ბევრი მონაწილე აღნიშნავდა, რომ ჩაის პლანტაციების დამუშავებაში ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დანერგული მექანიზაცია, მეჩაიეები ცუდად მარაგდებიან სპეციფისაცმლით და სხვ.

კონფერენციაზე დიდი ინტერესით მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხანაგ **ფ. დ. დუმბაძის** მოხსენება სკკპ პროგრამის პროექტის შესახებ.

სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტების გარშემო მოხსენებების განხილვის დროს კონფერენციის მონაწილეებმა ბევრი საყურადღებო წინადადება წამოაყენეს.

კონფერენციამ აირჩია პარტიის რაიონული კომიტეტი, სარევიზიო კომისია და საქართველოს კპ XXI ყრილობის დელეგატები.

• • •

რაიკომის პლენუმმა პარტიის მახარაძის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია **ვ. თოხაძე**, მეორე მდივნად — **ა. მეკავანაძე**, მდივნად — **კ. სამსონია.**

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ორი წლის წინათ მზია ჯიჯეიშვილი კომკავშირის საბაზრით მივიდა სოხუმის საქმოვ ფაბრიკაში. აქ მიიღო მძღოველის სპეციალობა და კომუნისტური შრომის დამკვრელი გახდა. იგი უშვებს მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას. სურათზე: მზია ჯიჯეიშვილი.

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (საქდფის ფოტოქრონიკა).

კომუნიზმის არქიტექტურა

ეამჟამად მთელი საბჭოთა ხალხის ფართო განხილვისა და ღრმა შესწავლის საგანს შეადგენს კომუნიზმის მშენებლობის დიადი ქარტია — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი.

ჩვენი ეპოქის ამ განსაკუთრებულ ისტორიულ საბუთებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. სკკპ აყენებს ამოცანას უზრუნველყოს ყოველი ოჯახი თანამედროვე კეთილმოწყობილი ბინით პიგიენისა და კულტურული ყოფაცხოვრების მოთხოვნილების შესაბამისად.

ძველი ტიპის სახლები ძირითადად შეიცვლება ახალი თანამედროვე სახლებით, ან იქ, სადაც ეს შესაძლებელია, მოხდება მათი რეკონსტრუქცია. პროგრამაში წერია, რომ „დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქმშენებლობის კულტურას, ქალაქებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების, საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების, საცხოვრებელი სახლების არქიტექტურულ გაფორმებასა და დაგეგმვას“.

თუ ღრმად დავუკვირდებით, შეიძლება ნათლად წარმოვიგინოთ, რაოდენ დიდი როლი ეთმობა არქიტექტურას კომუნისტურ საზოგადოებაში, სწორედ არქიტექტურამ უნდა შექმნას ის რეალური, ყოველდღიური მატერიალური გარემო, რომელშიც იცხოვრებს და განვითარდს შემოქმედებას მომავლის ადამიანი. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასა და განვითარებასთან ერთად აღმოცენდება უფრო მასობრივი ხასიათის საზოგადოებრივი შენობები, ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის მომსახურების მიზნით გაიზრდება მასშტაბი კომუნალური ნაგებობებისა, ყოფის ახალი პირობებისა და თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის ბაზაზე გარკვეული ცვლილებები მოხდება საცხოვრებელი სახლების დაგეგმარებაშიც.

ამ შენობებმა უნდა შექმნან „ყველა პირობები ადამიანის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის“. ამ შენობების ეშმაკრიტ სიმდიდრეს უნდა განსაზღვრავდეს შიგა და გარეგანი სივრცითი წყობის ორგანულობა, სადა და მკვეთრი ფორმები, მსუბუქი პროპორციები, ნათელი, ხალისიანი კოლორიტი, უხვი სინათლე და მზე.

ამის მიხედვით ახლავე ისმება ამოცანა — წამოყენებულ მოთხოვნილებათა შესაბამისად გადაისინჯოს საცხოვრებელ, საზოგადოებრივ და კომუნალურ შენობათა დაგეგმარების მეთოდები.

პროგრამის პროექტში საკმაოდ სამართლიანად ხაზგასმულია ქალაქმშენებლობის კულტურის დიდი მნიშვნელობა. ეს ბუნებრივია, რადგან სწორედ ქალაქმშენებლობა წარმოადგენს საბჭოთა არქიტექტურის განვითარების საფუძველს.

პროგრამის პროექტი ითვალისწინებს კომუნალური მშენებლობის, ყველა ქალაქისა და მუშათა დიდის კეთილმოწყობის ფართო გაქანებას, რაც მოითხოვს დიდ ღონისძიებათა გატარებას მთი ელექტროფიკაციის, გაზიფიკაციის, წყალმომარაგების, გამწვანებისა და კომუნალური ტრანსპორტით უზრუნველყოფის მხრივ.

ერთდროულად განხორციელდება დიდი სამშენებლო სამუშაოები სოფლად. საწარმოო ძალების ზრდასთან და მეურნეობის განსაზოგადებასთან ერთად შეიქმნება საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოთა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მშენებლობის საშუალებანი.

კოლმეურნეობები უფრო ფართოდ მიიღებენ მონაწილეობას სკოლა-ინტერნატების, კლუბების, საავადმყოფოების, დასასვენებელი სახლების შექმნაში. ისინი ფართოდ ისარგებლებენ სასადილოების, სამრეცხაოების, საბავშვო ბაღებისა და ბაღების, ბიბლიოთეკების, სტადიონების მომსახურებით. საკოლმეურნეო სოფლები თანდათან გარდაიქმნება ქალაქის ტიპის დასახლებულ პუნქტებად. „ყოველივე ეს გაუთანასწორებს სოფლის მოსახლეობას ქალაქის მოსახლეობას კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ“. განხორციელდება კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა განსხვავებათა ლიკვიდაციისა ქალაქსა და სოფელს შორის.

ვითვალისწინებთ რა ზემოთქმულს, აგრეთვე მშენებლობის დიდ მასშტაბებს, რომლებიც ამჟამად ხორციელდება ქალაქებსა თუ სოფლებში, ზოგჯერ ამ უკანასკნელებში სტიქიური გაშენების სახით, ვრწმუნდებით, რომ თვით ცხოვრება გვიკარნახებს საჭიროების ახლებურად მივუდგეთ დასახლებული ადგილების დაგეგმარებას. ვიმედოვნებთ, რომ არქიტექტურის სახელმწიფო ორგანოები და სსრ კავშირის მშენებლობისა და არქიტექტურის აკადემია უკვე უახლოეს დროში მეცნიერულად დასაბუთებენ ქალაქმშენებლობის ახალ პრინციპებს და წარმართავენ მას.

სკკპ პროგრამის პროექტით დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა გადაწყვეტის გზით.

სკკპ სავსებით სამართლიანად აქცევს უურადღებას კომუნისტური საზოგადოების ყოფის ესთეტიკურ მხარეს, ითვალისწინებს, რომ „მხატვრული საწყისი კიდევ უფრო შთაგონებულს გახდის შრომას, დაამშვენებს ყოფაცხოვრებას და გაკეთილშობილებს ადამიანს“.

ჩვენ მოვალედ ვთვლით თავს მივაქციოთ უურადღება არქიტექტურის ამოცანების რამდენადმე არაზუსტ განსაზღვრას.

პროგრამაში ნათქვამია, რომ „დიდი მნიშვნელობა ენიჭება... ქალაქებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების, საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების, საცხოვრებელი სახლების არქიტექტურულ გაფორმებასა და დაგეგმვას“. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გამოთქმა „არქიტექტურული გაფორმება“. როგორც ცნობილია, არქიტექტურის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ სახვითი ხელოვნებისაგან განსხვავებით იგი წარმოადგენს არა მარტო სინამდვილის ანარეკლს, არამედ თვით მატერიალურ სინამდვილეს. არქიტექტურას აქვს პრაქტიკული, ფუნქციური საფუძველი, რომელიც არა მარტო არსებობს მასში, არამედ კიდევაც განაპირობებს მას.

ამგვარად, სივრცის ორგანიზაციის მხატვრულ საშუალებას („გაფორმებას“) არქიტექტურაში წარმოადგენენ მატერიალურ-ტექნიკური ხერხები, კონსტრუქციული ელემენტები და თვით ტექტონიკა. არქიტექტურის ასეთი თავისებურებების შედეგად ფორმისა და შინაარსის ურთიერთობაც აქ განსაკუთრებულია. არქიტექტურაში ფორმა კი არ ასახავს შინაარსს, არამედ ხსნის მას მატერიალური და იდეოლოგიური მხარეების საშუალებით. აქედან ცხადია, რომ არქიტექტურაში არ შეიძლება ტექნიკური და მხატვრული ფორმის გათიშვა. მასში ორგანულად გაერთიანებულია ფუნქციური, კონსტრუქციულ-ტექნიკური და იდეურ-მხატვრული ამოცანები და ამიტომ განსაზღვრა — „არქიტექტურული გაფორმება“ არ უპასუხებს არქიტექტურის არსს.

ზემოთქმულის საფუძველზე, მოყვანილი ციტატა, ვფიქრობთ, შემდეგნაირად უნდა იყოს გამოთქმული: „დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქმშენებლობის კულტურას, ქალაქებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების დაგეგმვას, საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობების, საცხოვრებელი სახლების არქიტექტურულ გადაწყვეტას“.

პროგრამის იმ მონაკვეთში, რომელიც ეხება ეროვნული ურთიერთობის საკითხებს, დასმულია პარტიის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც პირდაპირ ეხებიან არქიტექტურასაც. სამართლიანად არის ნათქვამი, რომ „სოციალისტური ერების განვითარების ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ეროვნული ფორმები კი არ ქვავდებიან, არამედ სახეს იცვლიან, სრულყოფილი ხდებიან და ერთმანეთს უახლოდებიან, თავისუფლდებიან ყოველივე მოძველებულისაგან, რაც მეგზურობა ცხოვრების ახალ პირობებს“.

ომისწინა პერიოდსა და განსაკუთრებით ომისშემდგომ პერიოდში საბჭოთა არქიტექტურაში ხშირი იყო შემთხვევები მემკვიდრეობის როლის გადაფასებისა, ისეთი არქაული ეროვნული ფორმებისა და მოტივების მექანიკური გადმოტანისა, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ არქიტექტურის ახალ შინაარსსა და მშენებლობის ტექნიკურ შესაძლებლობებს.

პარტიამ დროულად მიუთითა ამ შეცდომებზე და წარმართა არქიტექტურა ახალი სწორი მიმართულებით. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ საზოგადოებისა და საწარმოო ძალების განვითარების, ცხოვრების ახალი პირობების დამკვიდრების შედეგად არსებითად იცვლება ეროვნული თავისებურებანიც. სოციალისტურ სინამდვილეში, რომელიც მოიცავს ცხოვრების ყველა სფეროს, ჩვენ ვხედავთ საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა ყოფისა და კულტურის, აზრებისა და წარმოდგენების უნიფიკაციას. მაგრამ ამავე დროს როგორც ადგილობრივი პირობები, ისე ეროვნული კულტურა და მოვლენათა თავისებური, განსხვავებული აღქმა ჯერ კიდევ არსებობს და დიდხანს იარსებებს. მაგრამ, ეროვნული ტრადიციების თანამედროვე გაგება უკვე აღარ გულისხმობს ცალკეული დეტალების, ფორმებით და დეკორაციული ძორთულობით შემოფარგლას, იგი ვლინდება დასახლებული ადგილებისა და შენობების დაგეგმარებაში, სივრცით კომპოზიციებში, ფუნქციურ ამოცანათა გადაწყვეტაში. ბუნებრივი პირობები უნდა იყოს გათვალისწინებული კომპოზიციურ სქემებში, საცხოვრებელი ბინის დაგეგმარებაში და სხვ. ასე გაგებული ეროვნული თავისებურებანი წარმოადგენენ უკვე თანამედროვე ეროვნულ ნიშნებს და „ეროვნული შეზღუდულობისა“ და „კუთხურობის“ ნაცვლად იწვევენ ეროვნულ კულტურათა გაერთიანებას ახალი შინაარსის საფუძველზე. აქედან იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ უკვე განვითარების თანამედროვე ეტაპზე არქიტექტურამ უნდა მიიღოს ზონალურ-რეგიონალური ხასიათი, ბუნებრივი პირობების მსგავსების. მიხედვით.

პარტიის პროგრამა, რომლის პროექტი დღეს მთელი ხალხის ფართო განხილვის საგანია, უსწავლა საბჭოთა არქიტექტორებს მოღვაწეობის განუსაზღვრელ პერსპექტივებს, მოითხოვს შემოქმედებით შრომას კომუნიზმისათვის, რომლის „გამარჯვება დამოკიდებულია ადამიანებზე“, და რომელიც „ადამიანებისათვის შენდება“.

რ. აბაბაბიანი,
არქიტექტურის დოქტორი, პროფესორი,

ი. ციციშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,

ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების კაბინეტმა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების საქალაქო განყოფილებამ მოაწყეს თეორიული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სკკპ ახალი პროგრამის პროექტის განხილვას.

მოხსენებით „კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი პროგრამა“ გამოვიდა პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. დარჯანია.

მოხსენებები „მსოფლიო სოციალისტური სისტემა“ და „ბრძოლა თანამედროვე რევიზიონიზმის წინააღმდეგ“ გააკეთეს თ. უუფარაძემ და გ. ხოჭოლავამ.

კ. კომახიძე.

ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

ამ დღეებში ქუთაისში დასავლეთ საქართველოს რაიონების პროპაგანდისტებისათვის გაიმართა შვიდდღიანი სემინარი.

სემინარის მონაწილე 270 პროპაგანდისტმა მოისმინა ლექციები და მოხსენებები სკკპ ახალი პროგრამისა და წესდების პროექტებზე, პარტიის ისტორიის საკვანძო საკითხებზე, ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობაზე და მთელ რიგ სხვა თემებზე.

პროპაგანდისტებმა გ. დახუნდარიძემ, ს. აბზიანიძემ, ლ. დოლიძემ სემინარის მონაწილეებს გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება. მოეწყო საინტერესო ექსკურსიები.

ა. ბერუჩევი.

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲧᲠᲘᲚᲝᲑᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐ

ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲡᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ

ᲔᲡ ᲡᲘᲣᲮᲕᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝᲐ

მივხედოთ ალპურ და სუბალპურ საძოვრებს — მთების სიმდიდრეს

საბჭოთა ადამიანები გულმოდგინედ სწავლობენ და განიხილავენ სკკპ პროგრამისა და წესდების პროექტებს. ამ ახალ ვითარებაში, როცა „ქალაქისა თუ სოფლის მშრომელები წინასაყრილობო შრომითს ეახტზე დგანან და თავიანთ საწარმოო საჩუქრებს უმზადებენ მშობლიური პარტიის XXII ყრილობას, არ შეიძლება სიტყვა არ ითქვას ჩვენი ალპური და სუბალპური საძოვრებისა და სათიბების შესახებ. მხედველობაში გვაქვს მათი მაქსიმალურად გამოყენების ამოცანა.

მშობლიური პარტიის ახალი პროგრამის პროექტი ითვალისწინებს პირველ ათწლეულში ხორცის წარმოება გავზარდოთ დაახლოებით სამჯერ, ხოლო ოც წელიწადში — თითქმის ოთხჯერ. შესაბამისად რძის წარმოება პირველ ათწლეულში უნდა გაიზარდოს ერთიორად და უფრო მეტად, ხოლო ოც წელიწადში — თითქმის სამჯერ.

დიდი და სერიოზულია ეს ამოცანები. მათი შესრულება მოითხოვს გამოვნახოთ და სრულად გამოვიყენოთ მეცხოველეობის აღმავლობის ყველა რეზერვი, ხოლო, როგორც ცნობილია, მეცხოველეობის აღმავლობის ერთ-ერთ მთავარ პირობას პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა წარმოადგენს.

ლაპარაკია ალპურ და სუბალპურ საძოვრებზე, რომლებითაც მდიდარია არა მარტო სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, არამედ ჩვენი რესპუბლიკის ბევრი მთის რაიონიც. დაკვირვებით და სპეციალისტთა შემოწმებით დავრწმუნდით, რომ ალპური და სუბალპური საძოვრები ჩვენს მთებში ხშირ შემთხვევაში დაუტვირთავია, მათ სათანადოდ ვერ ვიყენებთ. საქმე ის არის, რომ მთის საძოვრებს მეტი პირუტყვის მოღება და გამოკვება შეუძლიათ, ვიდრე ამჟამად იღებენ და კვებავენ.

მარტო სამხრეთ ოსეთში, ძირითადად ჯავისა და ლენინგორის რაიონებში მაღალნაყოფიერ ალპურ და სუბალპურ საძოვრებსა და სათიბებს 73 ათასი ჰექტარი უჭირავს, მათი ნაწილი ხალხის სამსახურშია ჩაყენებული. მაგრამ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია. მოვიყვანოთ მაგალითები.

ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჯერჯერობით 45 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი და 93 ათასი სული ცხვარი ჰყავთ. მიწის სავარგულების ყოველ 100 ჰექტარზე 26 სული მსხვილფეხა და 58 სული ცხვარი მოდის. მიწის სავარგულების ასეთი დატვირთვა ძალზე მცირეა. კიდევ მეტიც. თუ ავიღებთ ჯავისა და ლენინგორის რაიონებს, სადაც ძირითადად საქმე გვაქვს ალპურ და სუბალპურ საძოვრებთან, ეს დატვირთვა უფრო ნაკლებია. ლენინგორის რაიონში მიწის სავარგულების ყოველ 100 ჰექტარზე მხოლოდ 11 სული მსხვილფეხა პირუტყვი, მათ შორის 3 ძროხა მოდის. ასევე დაბალია მიწის სავარგულების დატვირთვა ჯავის რაიონში.

რა დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ აქედან? პირველ რიგში ის, რომ სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობათა პირუტყვის ახლანდელი რაოდენობა, რომელიც ზაფხულობით ალპურ და სუბალპურ საძოვრებზე იმყოფება, მომავალში შეიძლება გაიზარდოს სულ ცოტა ორჯერ მაინც. ამით ჩვენ შეგვიძლია სახელმწიფოს დამატებით მივცეთ ორი ათას ტონამდე ხორცი, 15 ათასი ტონა რძე, დიდი რაოდენობით მაღალხარისხოვანი მატყლი.

სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უკანასკნელ წლებში განუწყვეტლივ მატულობს ყველა სახის პირუტყვის ცოცხალი წონა. ეს მიღწეულია სუქების სწორი ორგანიზაციით. დაკვირვებით დავრწმუნდით, რომ პირუტყვის წონა და მისი პროდუქტიულობა შესამჩნევად იზრდება ძოვების პერიოდში, როცა ჯოგები საზაფხულო იალაღებზე იმყოფებიან. სწორედ ამ პერიოდში ვიღებთ რძის დიდ ნაწილს.

ბევრი რამ არის გასაკეთებელი ალპური და სუბალპური საძოვრებისა და მდელოების გასაუმჯობესებლად. იქ ბევრია ბალახი, მაგრამ კიდევ მეტი იქნება, თუ ამ ფართობებს ზრუნვას არ მოვაკლებთ. ამ მხრივ ერთგვარი ნაბიჯებიც გადაიდგა. ქვების ღირსნი არიან სოფლების ჩიგრიანის, როკის, ედისის, ერმანის, მსხლების ახალგაზრდები. მათ პირველებმა შეადგინეს ბრიგადები, რომლებიც ალპურ და სუბალპურ საძოვრებს ასუფთავებენ ქვების, ბუჩქებისა და შხამიანი ბალახებისაგან. გასაწმენდი, მოსავლელი მდელოები და საძოვრები კი ბევრია. მათ სამხრეთ ოსეთის მთებში თითქმის 14 ათასი ჰექტარი უჭირავთ.

საძოვრებისა და მდელოების გასაუმჯობესებლად სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს მრავალწლიანი ბალახების თესვას. მხედველობაში გვაქვს პირველ რიგში ესპარცეტის, ითონისა და სამყურას კოინდართან ნარევის თესვა ჯავისა და ლენინგორის რაიონებში. ამ საქმეს უკვე შეუდგა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიწათმოქმედების ინსტიტუტი. მთ დასაყრდენ პუნქტად აირჩიეს ჯავა. უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალწლიანი ბალახების თესვა ფართოდ მოიკიდებს ფეხს მთის ზონაში.

ვხედებით ზოგიერთ სიძნელეებს საზაფხულო იალაღებზე ყოფნის დროს. არის ადგილები, სადაც ნაკლებად არის პირუტყვის სასმელი წყალი. მწყემსებს შორს უხდებათ ჯოგის გარეკვა დასარწყულებლად. ზოგან კი ნაკლები ყურადღება ეძცევა ჭაობების ამოშრობას.

არიან კოლმეურნეობები, რომლებსაც საძოვრები პირუტყვის ბინებიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით აქვთ. გადაყვან-გადმოყვანის დროს პირუტყვი იღლება, სუსტდება და რძეს ნაკლებს იძლევა, ამას რომ თავი დავაღწიოთ, საჭიროა პირუტყვი საზაფხულო საბანაკო შენახვაზე გადავიყვანოთ. სამხრეთ ოსეთის ბევრი კოლმეურნეობა რამდენიმე წელია ასე იქცევა და კარგ შედეგსაც აღწევს წველადობაში.

ალპური და სუბალპური საძოვრების მთლიანად დატვირთვას ისიც უშლის ხელს, რომ ბევრგან გზები უვარგისია, საძოვრები მიუდგომელია. ჯავის რაიონის სოფელ ჯომაღის საძოვრებზე ფეხით ასვლაც კი დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. საძოვრები კი აქ მაღალნაყოფიერია. ისინი თითქმის ყოველწლიურად გამოუყენებელი რჩება. ასევე ძნელი მისადგომია გდუს, ბაგინის, ედისის, ხრომისწყაროს, ციხისოფლისა და სხვა სოფლების კოლმეურნეობათა საძოვრები. ამ კოლმეურნეობებს საშუალება აქვთ ცოტად თუ ბევრად წესიერად მოიყვანონ ეს გზები და სათანადოდ გამოიყენონ მდიდარი საძოვრები და სათიბები.

ცნობილია, რომ საძოვრების დაუტვირთაობა იწვევს მათ გაუარესებას. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი მთების სიმდიდრე — ალპური და სუბალპური ხაძოვრები და სათიბები მთლიანად ჩავაყენოთ ადამიანთა კეთილდღეობის სამსახურში.

ბ. ფალავანდიშვილი,
საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი.

ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲭᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ

თბილისის რკინიგზის ცენტრალური სამგზავრო სადგურიდან დასავლეთისაკენ გასული მატარებელი როგორც კი გასცდება ღრმაღელის ვიწროებს, ხელმარცხნივ, მტკვრის სანაპირო სივრცეზე გამოჩნდება რკინაბეტონით შემოზღუდული მრავალი საწარმოო კორპუსის უბანი. რას აშენებენ, რა იქნება ამ კორპუსებშიო, კითხულობდნენ ცნობისმოყვარენი, და აჰა, კარგახანია უკვე მოესმით გამგელ-გამომგელთ ამ კორპუსების სართულებიდან სხვადასხვა დანადგართა ხმაური და ახალი საწარმოო ცხოვრების მაჯისცემა.

ეს არის თბილისის ახალი კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების ახლად ამოშავებული ფაბრიკა — ინდუსტრიის ამ დარგის ერთ-ერთი მძლავრი საწარმო, რომელმაც შვიდწლედის ბოლოდან ყოველწლიურად უნდა მოგვცეს 20 ათასამდე პიანინოსა და როიალის კლავიატურა-მექანიკის კომპლექტი და მრავალი ათასი მზა პიანინო და როიალი.

ფაბრიკის დირექტორი მიხეილ ერაძე და მთავარი ინჟინერი იასონ კერესელიძე მოგვითხრობდნენ საქართველოში კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტების წარმოების პერსპექტივის შესახებ. ყველა პირობაა იმისათვის, — ამბობდნენ ისინი, — რომ ქართული პიანინო ან როიალი საუკეთესო იყოს. გვაქვს საშუალება მოვიმარაგოთ საუკეთესო სარეზონანსო ხე-ტყის მასალა, აგრეთვე ძვირფასი მასალა (ნეკერჩხალი, მსხალი, რცხილა) კლავიატურა-მექანიკისთვის საჭირო დეტალების გასაკეთებლად, უკვე გვაქვს საუკეთესოდ გამართული და უახლესი ტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვილი ფაბრიკა, რაც მთავარია, გვაყენან თავის საქმეს დაუფლებული მაღალკვალიფიციური მუშა-ხელოსნები და

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 20 სექტემბერს შემდეგი განცხადება გაუკეთა ნიდერლანდის საელჩოს სსრ კავშირში.

კომპეტენტურმა სახეთა ორგანოებმა გამოარკვიეს, რომ პოლანდიელი ტურისტები რეიდონ ივერტი, დაბადებული 1931 წელს და დე იაპერ ლოუ, დაბადებული 1936 წელს, რომელნიც როგორც ტურისტები მოგზაურობდნენ ავტომანქანით შემდეგი მარშრუტით: უფროროდი-ლვოვი - კიევი - ხარკოვი-იალტა-ოდესა-კიევი-უფროროდი, დაზვერვით ცნობებს აგროვებდნენ.

ამ წლის 20 აგვისტოს რეიდონი და დე იაპერი დააპატიმრეს იმიერკარპატის ოლქის ტერიტორიაზე. ამასთან მათ უნახეს სამხედრო ობიექტების ვიზუალური დაზვერვისა და ფოტოგადაღების ტექნიკური საშუალებანი, აგრეთვე უბის წიგნაკი და ბევრი ფოტოფირი, რომლებიც საამისოდ სპეციალურად მომარჯვებულ ამოსაკრავში ჰქონდათ შენახული.

ფოტოფირები და უბის წიგნაკი შეიცავენ დაზვერვითი ხასიათის მონაცემებს.

რეიდონმა და დე იაპერმა აჩვენეს, რომ სსრ კავშირის ტერიტორიაზე ჩამოსული არიან პოლანდიის დაზვერვის დავალებით და აგროვებენ ჯაშუშურ ცნობებს ნატოს სასარგებლოდ, რომლის წარმომადგენლებთან ერთად მათ ამსტერდამში გაუწიეს ინსტრუქტაჟი საბჭოთა კავშირში წამოსვლის წინ.

რეიდონმა და იაპერმა აღიარეს, რომ დაზვერვითი ხასიათის ცნობების შეგროვებით არღვევდნენ საბჭოთა კანონებს.

რეიდონისა და დე იაპერის საქმის გამოძიება გრძელდება.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო ნიდერლანდის საელჩოს ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ პოლანდიის დაზვერვის ორგანოები ტურისტს იყენებენ, რათა ჯაშუშობა აწარმოონ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო დავალების შესაბამისად პროტესტს აცხადებს და მტკიცედ მოითხოვს, რომ ნიდერლანდის მთავრობამ დაუყოვნებლივ განახორციელოს ღონისძიებანი, რათა ტურიზმი არ იყოს გამოყენებული დაზვერვითი მიზნით სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

* * *

ნიდერლანდის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა სსრ კავშირში თქვა, რომ განცხადების შინაარსს გადასცემს ნიდერლანდის მთავრობას.

გამარჯვება!

იაპონელმა გლეხებმა [illegible] ფართო საპროტესტო მოძრაობა იაპონიისა და ამერიკის ჯარების ერთობლივი მანევრების წინააღმდეგ [illegible] გაზრახულ [illegible] პოლიგონზე. მოსახლეობამ სამხედრო [illegible] [illegible] [illegible]

ერთი თვის წინათ ყაზბეგის რაიონული გაზეთის რედაქციაში მოსკოვიდან ასეთი შინაარსის დეპეშა მოვიდა:

„ახალი ხევის“ რედაქციას

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ყველა იმათ, ვინც დიდი დახმარება აღმოგვიჩინა მყინვარწვერის ყინულებში ტრაგიკულად დაღუპული ჩვენი შვილის პოვნასა და ჩამოსვენებაში.

ზახაროვების ოჯახი.

* * *

სამწუხარო, ძალზე სამწუხარო ამბავია. დაიღუპა ოცდაექვსი წლის ჯანღონიან სავსე ვაჟკაცი, ნიჭიერი ინჟინერ-კონსტრუქტორი ევგენი ზახაროვი. ვინ იცის, რამდენი ოცნება, ფიქრი და განზრახვა გაიყოლა თან, რამდენი რამ ჰქონდა სათქმელი და გასაკეთებელი, მაგრამ ვაი, რომ ასე უდროოდ დამთავრდა ყველაფერი.

ეს მით უფრო საწყენია, რომ იგი დაიღუპა იქ, სადაც მრავალი ასული და მომავალშიც ავლენ. ადამიანის ნებისყოფა, ცოდნა და გამოცდილება ყველა სიძნელეს გადალახავს.

მაშ რა მოხდა, რა იყო ახალგაზრდა მთამსვლელის ტრაგედიის მიზეზი?

შეცდომა, შეცდომა, რომელიც გამოუცდელ კაცსაც არ ეპატიება.

მაგრამ სჯობს თავიდან დავიწყოთ...

ვინ არ მოხიბლულა საქართველოს მთა-ეელის სილამაზით, ჩვენი მრავალფეროვანი ბუნების ეშხითა და სიკეკლუცეთ. აი თუნდაც საქართველოს კარიბჭე — დარიალის ხეობა. საკმარისია ერთხელ იხილო მისი ცადაზიდული პიტალო კლდეები, მარად-თოვლიანი მწვერვალები და თერგის ღრიალი, რომ სამუდამოდ დაგამახსოვრდეს იგი. მარტო მყინვარწვერი რაღა ღირს. რა მომხიბლავია მარადთოვლიანი ეს გოლიათი...

ბუნების ამ დიდებული სურათით მოჯადოებული იდგა, ალბათ, თერგის პირას მოსკოველი ჭაბუკი იური მანინი, სტუდენტი სახელობის მთამეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი, რომელიც საქართველოში ტურისტული საგზურით ჩამოსულიყო, იდგა და გულში ს. კიროვის ნათქვამი აგონდებოდა: — აქ შეიძლება დაიგიწყო ცხოვრების ყველა უსიამოვნება, ყველაზე დიდი გაბოროტება... ჩვენ შორის ვის არ უოცნებია ასეთ ადგილზე ცხოვრება...

ასეა. ეს ადგილი ნამდვილ ბედნიერებად ეგონა ალპინისტ-ალპინისტ-ალპინისტ-